პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 301 (10998) | შაბათი, 24 დეკემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

## ხვალ საბჭოთა უკრაინას ორმოცი წელი უსრულდება.

## ქართველი ხალხი მხურვალე, ძმურ სალამს უძღვნის უკრაინელ ხალხს მისი დიდი ეროვნული დღესასწაულის გამო და უსურვებს უკრაინის მშრომელებს ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთლიანად იწონებს საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთლიანად უჭერს მხარს წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია იმ წერილებსა და ნოტებში, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობამ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს, როგორც წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, „ცივი ომისა" და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ამოცანას, — ყველა სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოების ამოცანას.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის განუხრელ ნებასა და ერთსულოვან მისწრაფებას მშვიდობისადმი, მიაჩნია, რომ ამჟამად, როცა ჯერ კიდევ გრძელდება გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით ატომური და წყალბადის იარაღის დარგში, საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა არ დავუშვათ მოვლენათა საშიში განვითარება, დავიცვათ მშვიდობის საქმე და ვიხსნათ კაცობრიობა გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან. ამ მიზნის შესაბამისი იქნებოდა ის, რომ:

1. სახელმწიფოებმა, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღი აქვთ, სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, უარი თქვან ამ სახეობათა იარაღის გამოყენებაზე;

2. სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ვალდებულება იკისრონ შეწყვიტონ 1958 წლის 1 იანვრიდან ატომური და წყალბადის იარაღის ყველა გამოცდა;

3. სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი შეთანხმდნენ უარი თქვან იმაზე, რომ რაიმე სახეობის ატომგულის იარაღი განალაგონ გერმანიის — როგორც დასავლეთ, ისე აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, და მიიღონ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადება იმის შესახებ, რომ უარი თქვან ატომგულის იარაღის წარმოებასა და განლაგებაზე ამ ქვეყნებისა და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე;

4. არსებითად შემცირდეს სახელმწიფოთა და პირველ რიგში ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალების მქონე დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების რიცხვი;

5. დაიდოს შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის;

6. დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ გადადგან რაიმე ნაბიჯი, რომელიც არღვევს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დამოუკიდებლობას, და უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ამ რაიონთან დაკავშირებულ საკითხთა გადაჭრის დროს;

7. შეწყდეს ომის პროპაგანდა იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროპაგანდა ჯერ კიდევ წარმოებს, და ყოველნაირად გაფართოვდეს საერთაშორისო სავაჭრო, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების პირადი შეხვედრა და მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მათ მიერ განხილვა ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში არსებული დაძაბულობის შენელების და მათ შორის ურთიერთ ნდობის განმტკიცების გზების გამონახვას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივა გაგებასა და მხარდაჭერას პოულობს უფართოეს საერთაშორისო წრეებში, რომლებიც ხედავენ, რომ ჩვენს დროში არსებობს ატომური ომის თავიდან აცილების მხოლოდ ერთი გზა — მშვიდობიანი თანაარსებობის გზა. სულ უფრო აღიარებენ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის დროს, როცა არსებობენ კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოები, ყოველგვარი ცდა — ძალით შეცვალონ ეს მდგომარეობა, ცდები — ჩაერიონ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რათა მიაღწიონ პოლიტიკური რეჟიმების შეცვლას, ცდები — თავს მოახვიონ ვინმეს რაიმე ტერიტორიული ცვლილება, დაარღვიონ ახლანდელი „სტატუს-კვო" კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევდა საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ, რომელიც ეს არის დამთავრდა, განიხილა რა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი, მხარი დაუჭირა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს და მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც აღიარებულია, რომ საჭიროა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა განვითარდეს „ურთიერთ პატივისცემისა და სარგებლო-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მეორმოცე წელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა.

საბჭოთა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა და მუშებმა უდიდესი გმირობა გამოიჩინეს, განახორციელეს რა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება და ამით მთელ მსოფლიოს დაანახვეს, თუ რა შეუძლია სოციალისტური საზოგადოების ხალხის შემოქმედებითს გენიასა და აღმშენებლობითს შრომას, ხალხისა, რომელიც თავისუფალია კაპიტალისტური ჩაგვრის ბორკილებისაგან.

მიღწევები საბჭოთა მეცნიერებისა, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალ ერას მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, სავსებით კანონზომიერია, მომზადებულია სოციალისტური საზოგადოების, მისი ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი წინა განვითარებით. ეს მიღწევები ემყარება საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის, ზუსტი მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ელექტროტექნიკის, ქიმიის, ხარისხოვანი მეტალურგიისა და მრეწველობის სხვა დარგების განვითარების მაღალ დონეს. ისინი გამომდინარეობენ სოციალისტური წყობილების თვით ხასიათიდან, წყობილებისა, რომელიც ეყრდნობა ზუსტ მეცნიერულ საფუძვლებს და ქმნის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს მთელი მოსახლეობის განათლებისათვის, მეცნიერთა კადრების ზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარებისათვის.

დედამიწის საბჭოთა თანამგზავრები ცოცხალი განსახიერებაა ჩვენი ხალხის მრავალი წლის გიგანტური შრომისა, რომელმაც თავისი სამშობლო მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია.

1957 წლის 4 ოქტომბერს სამყაროს სივრცეში გაშვებულ იქნა დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრი და ამით პირველი ნაბიჯი გადაიდგა კოსმოსური სივრცის დაპყრობის გზაზე.

1957 წლის 3 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის წინ, გაშვებულ იქნა დედამიწის მეორე თანამგზავრი, აღჭურვილი უფრო სრულყოფილი მეცნიერული აპარატურით, რომელმაც შესაძლებელი გახადა კოსმოსურ სივრცეში მოვლენების გამოკვლევა და საპლანეტთაშორისო ფრენის პირობებში ცოცხალ არსებათა ქცევის გამოკვლევა, რაც წინათ მიუწვდომელი იყო მეცნიერებისათვის.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება კაცობრიობის გაბედული ოცნების განხორციელება და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი იყო.

მილიონობით ადამიანი დედამიწის ყველა ნაწილში აღფრთოვანებით მიესალმა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვებას.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და მუშების თავდადებულ შრომას, რომლებმაც შექმნეს დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრები და განახორციელეს მათი გაშვება.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, რომლებმაც შესაძლებელი გახადა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნა და გაშვება, წამყვან მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და სპეციალისტთა დიდ ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემიები.

ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოებული არიან სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ თანამგზავრების შემუშავებაში და მათი გაშვების განხორციელებაში.

თანამგზავრების, მატარებელი რაკეტის, მიწისზედა გასაშვები საშუალებების, საზომი და მეცნიერული აპარატურის შექმნისათვის და საბჭოთა კავშირში დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვებისათვის მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და მუშათა ჯგუფს მიეკუთვნა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ბევრი სპეციალისტი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მუშა დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა კავშირში დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრების შექმნისა და გაშვების აღსანიშნავად მიღებულია გადაწყვეტილება აიგოს 1958 წელს ობელისკი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში.

# სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მუშაკებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ სახელმწიფო უშიშროების ყველა მუშაკს სახელოვან იუბილეს — სახელმწიფო უშიშროების ორგანოების არსებობის მეორმოცე წლისთავს.

კომუნისტური პარტიის მიერ ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა თავი გამოიჩინეს როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა, ხალხის ინტერესთა ფხიზელმა გუშაგმა, სოციალისტური სახელმწიფოს საიმედო იარაღმა მისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, მუშაობაში პარტიულობის ლენინური პრინციპების განუხრელი და ზუსტი განხორციელება, ხალხის მუდმივი მხარდაჭერა და ნდობა სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების ძალის წყარო და მათი წარმატებითი საქმიანობის საწინდარია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებს კვლავაც მაღლა ეჭირებათ რევოლუციური სიფხიზლისა და სოციალისტური კანონიერების დროშა, კვლავაც თავდადებით ემსახურებიან საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

### რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

## ფროლ რომანის-ძე კოზლოვი

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. ფ. რ. კოზლოვი.

ფროლ რომანის-ძე კოზლოვი დაიბადა 1908 წელს რიაზანის ოლქის სოფელ ლოშჩინინოში ღარიბი გლეხის ოჯახში. თხუთმეტი წლის მოზარდი იყო, როცა მუშაობა დაიწყო ქალაქ კასიმოვის ფაბრიკა „კრასნი ტექსტილშჩიკში". აქ, დაეუფლა რა ფეიქრის პროფესიას, ოსტატის თანაშემწე გახდა. ფაბრიკაში იგი კომკავშირში შევიდა, ხოლო 1926 წელს მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებში. იმავე წელს იგი აირჩიეს კომკავშირის საფაბრიკო კომიტეტის მდივნად, ხოლო შემდეგ დააწინაურეს საკავშირო ალკკ კასიმოვის სამაზრო კომიტეტის ეკონომიური განყოფილების გამგედ. 1928 წელს ახალგაზრდა კომუნისტი ლენინგრადში გაგზავნეს სასწავლად. მან დაამთავრა მუშფაკი, ხოლო შემდეგ ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.



ინჟინრის დიპლომით ჩავიდა ამხ. კოზლოვი ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის ერთ-ერთ უძველეს ცენტრში — იჟევსკში. იგი ბლუმინგის უფროსად დანიშნეს. 1939 წელს კომუნისტებმა იგი აირჩიეს პარტკომის მდივნად, ხოლო 1940 წელს — პარტიის იჟევსკის საქალაქო კომიტეტის მდივნად.

1944 წელს ამხ. კოზლოვი გადაჰყავთ მოსკოვში, სადაც სამი წლის განმავლობაში უჭირავს პასუხსაგები თანამდებობანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში. შემდეგ პარტია გზავნის მას ქალაქ კუიბიშევში, სადაც იგი მუშაობს სკკპ საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად.

1949 წელს ამხ. კოზლოვი კვლავ ჩადის ლენინგრადში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგად კიროვის ქარხანაში. მალე მას პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივნად ირჩევენ. 1953 წლის ნოემბრიდან ამხ. კოზლოვი მუშაობს პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

პარტიის XIX და XX ყრილობებზე ამხ. კოზლოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე 1957 წელს იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად, ხოლო ივნისის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

ამხ. კოზლოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

## ნიკოლოზ გრიგოლის-ძე იგნატოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1957 წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ნ. გ. იგნატოვი.

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე იგნატოვი დაიბადა 1901 წელს სტალინგრადის ოლქის სტანიცა ტიშანსკაიაში, მუშის ოჯახში. მოზარდი იყო, როცა დაქირავებით დაიწყო მუშაობა ხუროდ მამასთან ერთად. 1917 წლიდან 1921 წლამდე მოხალისედ მსახურობდა წითელი არმიის რიგებში, ხოლო შემდეგ 1932 წლამდე მუშაობდა საგანგებო კომისიისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებში. იგი მონაწილეობას იღებდა ბასმაჩების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1923 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.



1932-1934 წლებში ამხ. იგნატოვი სწავლობს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის კურსებზე. კურსების დამთავრების შემდეგ 1934 წელს იგი გაიგზავნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ლენინგრადის ფაბრიკა „გოზნაკში". ქალაქ ლენინგრადის ლენინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ 1937 წელს იგი რაიკომის პირველ მდივნად აირჩია. მალე ამხ. იგნატოვს პარტია გზავნის ქალაქ კუიბიშევში, სადაც იგი არჩეულ იქნა პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად.

1940 წელს იგი იგზავნება ქალაქ ორიოლში, სადაც 1948 წლამდე მუშაობს პარტიის ორიოლის საოლქო კომიტეტის მდივნად, 1949 წელს მას ირჩევენ პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივნად. 1952 წელს პარტიის XIX ყრილობაზე ნ. გ. იგნატოვი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1953 წელს ამხ. იგნატოვს ირჩევენ პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად და ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1954 წელს ამხ. იგნატოვი მუშაობდა პარტიის ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1955 წელს არჩეულ იქნა სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

პარტიის XX ყრილობაზე ამხ. იგნატოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. მას ამტკიცებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფსრ ბიუროს წევრად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე 1957 წელს იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

ამხ. იგნატოვი სსრ კავშირის ოთხი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, „სამამულო ომის პარტიზანის" I ხარისხის მედლით და სხვა მედლებით.

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

## ალექსი ილარიონის-ძე კირიჩენკო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ა. ი. კირიჩენკო აირჩია ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ალექსი ილარიონის-ძე კირიჩენკო დაიბადა 1908 წელს ხერსონის ოლქის სოფელ ჩერნობაევკაში. მამამისი რკინიგზების მშენებლობაზე მუშაობდა. თავისი შრომითი საქმიანობა ალექსი ილარიონის-ძემ თერთმეტი წლის მოზარდმა დაიწყო: რამდენიმე წელიწადს მოჯამაგირედ იყო კულაკებთან, შემდეგ რემონტის მუშად რკინიგზაზე. 1928 წელს დაამთავრა ავტოსატრაქტორო მექანიკოსთა სკოლა და მუშაობდა მექანიკოსად ავტოსატრაქტორო სახელოსნოებში ხერსონში, შემდეგ — კუსტანაის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო უფრო გვიან — ხერსონის ოლქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „კრასნი პერეკოპის" უფროს მექანიკოსად, განყოფილების მმართველად. აქ 1930 წელს ალექსი ილარიონის-ძე მიღებულ იქნა პარტიის წევრად. 1936 წელს მან დაამთავრა სოციალისტური მიწათმოქმედების ინჟინერ-მექანიკოსთა აზოვ-შავი ზღვის ინსტიტუტი, რის შემდეგ განაგებდა ახტირკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილს.



ჯერ კიდევ სტუდენტობაში ამხ. კირიჩენკო აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიულ ცხოვრებაში, ხუთ წელიწადს ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის წევრია და სამ წელიწადს — კომკავშირის კომიტეტის მდივანი. 1938 წელს იგი დაწინაურებულ იქნა სამუშაოდ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, სადაც ეჭირა ინსტრუქტორის, პასუხისმგებელი ორგანიზატორის, სექტორის გამგის, განყოფილების გამგის თანამდებობები.

1941 წლის თებერვალში ამხ. კირიჩენკოს ირჩევენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. დიდი სამამულო ომის დასაწყისში პარტია მას გზავნის პოლიტსამუშაოზე არმიაში: იგი ინიშნება სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრად. მას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. შემდეგში ალექსი ილარიონის-ძე სამხედრო საბჭოს წევრია სტალინგრადის, დონის, სამხრეთისა და უკრაინის მე-4 ფრონტებზე. 1944 წლის დამდეგს ამხ. კირიჩენკო ბრუნდება პარტიულ სამუშაოზე უკრაინაში, სადაც მას ირჩევენ უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, შემდეგ იგი ხუთი წლის განმავლობაში მუშაობს პარტიის ოდესის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1949 წელს ალექსი ილარიონის-ძეს ირჩევენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1953 წელს — უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. სკკპ XIX და XX ყრილობებზე მას ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1953 წლიდან იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატია, ხოლო 1955 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

ამხ. კირიჩენკო სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატია. დაჯილდოებულია ლენინის სამი ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით, კუტუზოვის ორდენით და მედლებით.

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

## ნურიტდინ აკრამის-ძე მუხიტდინოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ნ. ა. მუხიტდინოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ნურიტდინ აკრამის-ძე მუხიტდინოვი დაიბადა 1917 წლის ნოემბერში ტაშკენტში ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლისა და კოოპერაციული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ (1935 წელი) მუშაობდა უზბეკეთის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. დაამთავრა სავაჭრო-ეკონომიური ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ უმაღლესი პედაგოგიური კურსები.



1940 წელს ამხ. მუხიტდინოვი გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიაში, სადაც მსახურობდა 1945 წლამდე, იყო კომკავშირულ და პოლიტიკურ სამუშაოზე. 1942 წელს სამხრეთის ფრონტზე იგი მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის რიგებში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ამხ. მუხიტდინოვი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე იგზავნება. 1946 წელს მუშაობდა უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორად; 1947 წელს მას ირჩევენ უზბეკეთის კპ ნამანგანის საოლქო კომიტეტის მდივნად; 1949 წელს — უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ხოლო 1950 წელს — უზბეკეთის კპ ტაშკენტის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1951 წელს ამხ. მუხიტდინოვი ინიშნება უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1955 წლის დეკემბერში მას ირჩევენ უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

პარტიის XIX და XX ყრილობებზე ამხ. მუხიტდინოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე 1956 წელს იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1957 წლის დეკემბრის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამხ. მუხიტდინოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით და მედლებით.

## აჭარის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

აჭარის ასსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადაზე სამი კვირით ადრე — 10 დეკემბრისათვის შეასრულეს წლიური გეგმა, ხოლო 20 დეკემბრისათვის 2 პროცენტით გადააჭარბეს. მას და ქვეყანას მისცეს 22 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სახელმწიფო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა, ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამუშავებელმა ქარხანამ, გემთმშენებელმა ქარხანამ და სხვა.

# ХАЙ ЖИВЕ РАДЯНСЬКА УКРАЇНА!



## ძმური სალამი უკრაინელ ხალხს!

ხვალ 40 წელი სრულდება უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. უკრაინელი ხალხი სამართლიანად ამაყობს, რომ მან რუსი ძმების კვალდაკვალ დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეში. უკრაინაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას მუშათა კლასმა მიაღწია უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, რუსეთის ყველა ხალხის დახმარებით, კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხელმძღვანელობით.

სწორედ უანგარო სიყვარულისა და უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღუმართა უკრაინელმა ხალხმა უკვდავ ლენინს მონუმენტური ძეგლი თავისი სამშობლოს დედაქალაქ კიევის ცენტრში. ძეგლის პოსტამენტზე ოქროთი ამოკვეთილია დიდი ბელადის სიტყვები: **„ველიკოროს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.**

ლენინის ამ მითითების განხორციელებამ გახადა შესაძლებელი ის, რომ 1917 წლის დეკემბერში შექმნილიყო სუვერენული უკრაინის საბჭოთა სახელმწიფო.

სრულიად უკრაინის საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც 1917 წლის 24-25 (11-12) დეკემბერს შედგა ხარკოვში და რომელმაც გამოაცხადა უკრაინა საბჭოების რესპუბლიკად, გაავრცელა უკრაინაში ლენინური დეკრეტები მშვიდობის, მიწის, საწარმოებზე მუშათა კონტროლის შესახებ და საზეიმოდ გამოაცხადა საბჭოთა უკრაინის საბჭოთა რუსეთთან ურღვევი კავშირი.

ამ დღიდან იწყება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის — სსრ კავშირის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის — მძლავრი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აღმავლობა.

ძმამ უკრაინას, მის მამაც, ნიჭიერ ხალხს გამოვლილი აქვს მრავალი ბრძოლის ქარცეცხლი, მას მუდამ გზას უნათებდა და უნათებს დიდი ოქტომბრის შუქი, კომუნიზმის ძლევამოსილი იდეები.

სოციალისტური სისტემის უპირატესობის წყალობით საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ და მათ შორის — უკრაინამ მიაღწია ისეთ ეკონომიურ განვითარებას, როგორიც არ ახსოვს მსოფლიოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას. უკრაინის სსრ სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 1956 წელს 1913 წელთან შედარებით 18-ჯერ გაიზარდა. 1956 წელს უკრაინაში გამოდნობილ იქნა 17,2 მილიონი ტონა თუჯი, თითქმის იმდენი, რამდენიც გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, და მეტი, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა რომელიც გნებავთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში; ფოლადი გამოდნობილია 18,3 მილიონი ტონა, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში. უკრაინა იღებს 150 მილიონ ტონა ქვანახშირს, აწარმოებს 4-5-ჯერ მეტ თუჯს, ფოლადს და ნაგლინს, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი აწარმოებდა 1913 წელს, ელექტროენერგიის გამომუშავება აქ 73-ჯერ მეტია, ვიდრე 1913 წელს იყო. უდიდესი წარმატებებია მოპოვებული ინდუსტრიის სხვა დარგებშიც. ამან ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას. ლენინი მთელი საბჭოთა კავშირისათვის 100.000 ტრაქტორზე ოცნებობდა, ახლა მარტო უკრაინის მინდვრებზე 237 ათასზე მეტი ტრაქტორი, 75 ათასზე მეტი კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა მუშაობს. რესპუბლიკაში არის 15.100 კოლმეურნეობა, 798 საბჭოთა მეურნეობა, 1.397 მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

უდიდესი აღმავლობა განიცადა რესპუბლიკამ კულტურის ფრონტზე. შემოღებულია შვიდწლიანი, ხოლო დიდ ქალაქებში ათწლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. რესპუბლიკის 138 უმაღლეს სასწავლებელში 346 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. უკრაინას ჰყავს 32 ათასამდე მეცნიერი მუშაკი, რომელთა წვლილი დიდია ჩვენი ქვეყნის სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა უკრაინელი ხალხის ისტორიული ბედი და მისი შემდგომი ეროვნული განვითარების გზა. პირველად თავის ისტორიაში უკრაინელმა ხალხმა მოიპოვა სახელმწიფოებრიობა და გახდა თავისი ბედის ბატონ-პატრონი. მან ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ლენინურ იდეას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც დამყარებულია ურთიერთ პატივისცემაზე, თავისუფალ ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობაზე.

დღეს ზეიმია ჩვენს ძლევამოსილ ერთიან საბჭოთა ოჯახში. სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ზეიმობს ქართველი ხალხიც, რომელიც ისტორიული მეგობრობის მრავალი ძაფით არის დაკავშირებული უკრაინელ ხალხთან და ამიტომ იგი უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება მოძმე უკრაინის ეროვნულ ზეიმს. საბჭოთა საქართველო გულითად, მეგობრულ სალამს უძღვნის უკრაინელ ხალხს თავისი დიადი ზეიმის ამ დღეს. ჩვენი ხალხი სულით და გულით შეჰხარის მოძმე უკრაინის უდიდეს სამეურნეო და კულტურულ წარმატებებს, მის დიდ აღმავლობას, იმას, რომ იგი, დიდი ოქტომბრის გზით მავალი, ორმოცდაორმილიონიანი მძლავრი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოა, რომელმაც სახალხო მეურნეობის მთელი რიგი მონაცემებით უკან ჩამოიტოვა ევროპის ბევრი სახელმწიფო. ურღვევია უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობა. ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა, მეშახტეთა, ინტელიგენტთა თანამშრომლობა და ურთიერთობა ჩვენი საერთო საქმის წინსვლას ემსახურება. კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის შემოქმედებითი თანამეგობრობა.

უკრაინელი ხალხი თავის დიდ დღესასწაულს აღნიშნავს მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მძლავრი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლით.

თავისი მომავლის მტკიცე რწმენით, ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზით უკრაინელი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ძმური სალამი გამარჯვებულ უკრაინელ ხალხს!

## გმირი მამების მაგალითზე



მამაჩემის მთელი ცხოვრება მუდმივი შემართება და ბრძოლა იყო. სიჭაბუკეშივე დაადგა იგი რევოლუციური ბრძოლის გზას, გაიარა ცხოვრების დიდი სკოლა, გახდა თვალსაჩინო მხედართუფროსი. გრიგოლ ივანეს-ძის ძალა პარტიისა და სამშობლოსადმი მის თავდადებულ სიყვარულში იყო. მამას მთელი არსებით უყვარდა სიცოცხლე, მაგრამ რევოლუციისათვის არ ზოგავდა მას. კოტოვსკი არ დაღუპულა ღია ბრძოლაში, იგი მოჰკლეს ზურგიდან, ფარულად, მაგრამ მტრებმა ვერ შეძლეს მოეკლათ გმირის დიდება, გმირობა ხომ უკვდავია! მტრებმა ვერ შეძლეს მოეკლათ ხალხის სიყვარული მგზნებარე გულის ადამიანისადმი.

ჩვენ — ბოლშევიკების შვილები — ვსწავლობდით და ვსწავლობთ ისე ცხოვრებას და მუშაობას, როგორც ჩვენი მამები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

ჩვენი მამები გვასწავლიდნენ: ადამიანის პირადი სიმამაცის წყაროს დიადი იდეისათვის მისი თავდადება და ერთგულება წარმოადგენს. ისინი ჩვენში ზრდიდნენ მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებას, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას, ამხანაგისადმი პატივისცემას, პირად თავმდაბლობას. მამების გმირობა ჩვენთვის იყო სკოლა, და ამანაც გახადა შესაძლებელი დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩემი თაობის მასობრივი გმირობა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ მე გავხდი ფილოლოგი. ახლა ვმუშაობ კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვისწრაფვი ჩავუნერგო სტუდენტ ახალგაზრდობას სიყვარული დიდი საბჭოთა ლიტერატურისა, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდისათვის.

მე მინდა მივმართო ჩვენს ახალგაზრდობას მოწოდებით: იკითხეთ, შეისწავლეთ ჩვენი უფროსი ამხანაგების — შეუპოვარი და მამაცი ადამიანების ცხოვრება, იყავით მუდამ მოწინავენი, როგორც ისინი იყვნენ.

**ელენე კოტოვსკაია,**
კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი.

## საქართველოს მშრომელთა დელეგაცია უკრაინის სსრ მე-40 წლისთავის დღესასწაულზე

**უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად კიევს გაემგზავრა საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია.**

დელეგაციაში შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ი. ბ. აბაშიძე, ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის ობერ-ოსტატი ვ. გ. კობერიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი გ. ი. მელიქიშვილი, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი შ. ი. ჭანუყვაძე. (საქინფორმი).

## რაზეც ლენინი ოცნებობდა

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა პირველი ხუთწლედის პირმშოა უკრაინაში.

კიდევ ერთხელ შეესხა ფრთები დიდი ლენინის ოცნებას — ოცნებას 100.000 ტრაქტორის შესახებ. სასიხარულოა, რომ მარტო ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ უკვე გამოუშვა 500.000 ტრაქტორი, რომ აღარა ვთქვათ რა ჩვენი სამშობლოს სხვა უძლიერესი ქარხნების მიერ დღემდე გამოშვებულ ასეულ ათასობით ტრაქტორზე.

ტრაქტორების გამოშვება ჩვენს ქარხანაში წლითიწლობით იზრდება.

ემზადებოდა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის, ქარხნის კოლექტივმა ვადამდე — 22 ოქტომბრისათვის გაანაღდა ათი თვის გეგმა, ქვეყანას მისცა 42 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, მათ შორის ასობით ტრაქტორი და დიდძალი სათადარიგო ნაწილები.

ხარკოვის სატრაქტორო ქარხანას თავისი შესანიშნავი პროდუქციით წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქარხნის მარკის ტრაქტორები თითქმის ყველა მოძმე რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებს ემსახურება. მოძმე საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდი სიხარულით ხვდებიან ახალი კონსტრუქციის მუხლუხა ტრაქტორის გამოშვებას, რომელსაც 16 ცხენის ძალა აქვს და რომელზეც დიდ მოთხოვნილებას აყენებენ მეციტრუსეები, მევენახეები და მებაღეები.

ქარხნის შემოქმედებითი კოლექტივი წლითიწლობით აუმჯობესებს და სრულყოფს უკვე შექმნილ მანქანებს, ქმნის ახალი კონსტრუქციის ტრაქტორებს.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენი ქარხანა წარმატებებს აღწევს, მიღწევებით ხვდება იგი სახელოვან თარიღს — უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავს. ქარხნის კოლექტივმა პირობა დადო მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა ვადამდე შეასრულოს და ქვეყანას ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

საამაყოა, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორცი შეესხა იმას, რაზეც ლენინი ოცნებობდა — ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფილია ტრაქტორებით. ამ ოცნების განხორციელებაში მნიშვნელოვანი წილი უდევს ჩვენს ქარხანასაც.

**პ. საგლევი,**
ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის დირექტორი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანა. მთავარი კონვეიერი. ფოტო ი. დავიდზონისა.

## ერთად აღვნიშნოთ ჩვენი დღესასწაული

ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს საუკეთესო მნგრეველს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ტრიფონ ფოფხაძეს.

ძვირფასო მეგობარო, ტრიფონ ვარდენის-ძევ! ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჭიათურის სხვა მაღაროელებთან ერთად სტუმრად იყავი შენს ამხანაგებთან — ქალაქ მარგანეცის მეშახტეებთან.

ჩვენ, ყველას, მარგანცელებს, ძალიან გვესიამოვნა თქვენი მეგობრული, გულთბილი სიტყვები. ძალიან გვიხარია, რომ ასეთი მეგობრები გვყავს, ამხანაგური კავშირი გვაქვს მათთან, ვეჯიბრებით ერთმანეთს საუკეთესო შრომითი წარმატებებისათვის.

აი ხომ ხედავ, არ შემიძლია ისე მოგწერო, რომ ჩვენი შეჯიბრება არ გავიხსენო. ოღონდ არ იფიქრო, რომ ამას კვეხნით ვამბობ. მე და შენ ხომ შევთანხმდით მუდმივი კავშირი გვქონდეს, ვაცნობდეთ ერთმანეთს ჩვენი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას. წლის დასაწყისიდან საწარმოო დავალებას 135 პროცენტით ვასრულებ. როცა შეჯიბრების ხელშეკრულებას ვადგენდით, მე და შენ 8 საათს მუშაობა გვიხდებოდა, ახლა კი ექვსსაათიანი სამუშაო დღე გვაქვს...

რა დიდი შემსუბუქებაა მაღაროელებისათვის ექვსსაათიანი სამუშაო დღე! იგი შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, რომ ორმოცი წლის განმავლობაში მშრომელთა ბედი ხალხის ხელშია.

შენ, რასაკვირველია, იცი, რომ უკრაინელი ხალხი აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მე-40 წლისთავს. მის აღსანიშნავად მე უთუოდ ჩამოვანგრევ მესამე ათასეულ ტონას, რასაც გეგმის გადამეტებით ვიძლევი. შესანიშნავი იუბილესათვის კარგი საჩუქრები მოამზადეს ჩემმა ამხანაგებმაც და საერთოდ ტრესტის მთელმა კოლექტივმა. მაგალითად, ჩვენი გამამდიდრებლები უკვე მეორე დეკადაა 1958 წლის ანგარიშში მუშაობენ, ვადამდე შესრულდება წლიური გეგმა ნედლი მადნის ამოღების დარგშიც.

ჩემს ხალხსა და შენს ხალხს, პატივცემულო ამხანაგო ფოფხაძე, საერთო კარგი ჩვეულება აქვთ: პატივი სცენ მეგობრების დღესასწაულს. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინის რესპუბლიკის მე-40 წლისთავის დღეს ჩვენი ქართველი მეგობრები გაიზიარებენ ჩვენს სიხარულს და ღირსეულად აღნიშნავენ უკრაინელი ხალხის დიდ დღესასწაულს.

**პ. ზრეკოვი,**
ლენინის სახელობის მაღაროს № 24 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი.
ქ. მარგანეცი.

## ახალი ცხოვრების შუქი

დასავლეთი უკრაინა!.. მისი თვალუწვდენი სივრცეები, ნიჭიერი ხალხის შრომით შექმნილი სიმდიდრე. საუკუნეების მანძილზე დასავლეთ უკრაინის მიწა-წყალი ავსტრიელ-გერმანელი ბარონებისა და პოლონეთის შლიახტის მისწრაფების ობიექტს წარმოადგენდა. უხვი და ნოყიერი მიწა მშრომელთათვის საუკუნოებით ბოროტი დედინაცვალი იყო.

რუსეთში ოქტომბრის გამარჯვებამ დასავლეთ უკრაინის მშრომელებს განთავისუფლების იმედი ჩაუსახა.

მრავალი წლის მანძილზე უცადეს დასავლეთ უკრაინელებმა ამ ნათელ ჟამს. ეს წლები აღსავსე იყო მკაცრი და მამაცური ბრძოლით. და მხოლოდ 1939 წელს ამობრწყინდა ლვოვში თავისუფლების მზე.

საბჭოთა ხალხების დიად ოჯახში უკრაინის დასავლეთი ოლქების მშრომელები ახლა ღრმა კმაყოფილებით, კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებენ თავიანთ მიღწევებს.

საბჭოთა უკრაინის დასავლეთ ოლქებს ამჟამად აქვთ მოწინავე, სულ უფრო მზარდი სოციალისტური ინდუსტრია.

ჩვენ ვამაყობთ დღევანდელი ლვოვით — საბჭოთა უკრაინის ერთ-ერთი მსხვილი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრით.

მსხვილი მრეწველობის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებათა მეოხებით შეიქმნა პირობები სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. სამუდამოდ გაქრა მიწათმოქმედებაში პრიმიტიული ტექნიკა — მისი ადგილი მექანიზმებმა დაიკავეს.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში უკრაინის დასავლეთი ოლქების მშრომელებს, მთელ უკრაინელ ხალხთან ერთად, ღირსეული ადგილი უკავიათ.

**ს. ვ. სტეფანიკი,**
ლვოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## დნეპრის ნაპირებზე

დიდი სამამულო ომის დროს დნეპრის ჰიდროელექტროსადგური დაინგრა. მისი აღდგენა დაიწყო 1944 წელს, როცა ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ განაგრძობდა ბრძოლას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, და დამთავრდა 1950 წელს. ამასთან ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე გადიდებულ იქნა 640 ათას კილოვატამდე ნაცვლად ომამდელი სიმძლავრის — 560 ათასი კილოვატისა.

იმავე წელს დნეპრზე დაიწყო კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კახოვკის კვანძის შემადგენლობაში შედის მიწის კაშხალი, ბეტონის წყალსაშვები კაშხალი, ჰიდროელექტროსადგურის შენობა, სანაოსნო რაბი, კრასნოზნამენსკის მაგისტრალური საირიგაციო არხისათვის წყლის მიმწოდებელი ნაგებობა.

1955 წლის 14 ივნისი კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობის მატიანეში ჩაწერილია როგორც კახოვკის ზღვის დაბადების დღე.

1955 წლის დამდეგს ჰიდროელექტროსადგურის პირველმა სამმა აგრეგატმა სამრეწველო დენი მისცა ჩვენს ქვეყანას. კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობამ უზრუნველყო დნეპრის წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება იაფი ჰიდროენერგიის გამომუშავებისათვის, წყლის ტრანსპორტის ორგანიზაციისათვის, გვალვიანი მიწების მორწყვისა და თევზის მეურნეობის განვითარებისათვის.

კახოვკის უზარმაზარი წყალსაცავი, რომლის სიგრძეა 240 კილომეტრი და სიგანე 20-მდე კილომეტრი, კახოვკა-ზაპოროჟიეს ნაკვეთზე ქმნის სიღრმეებს, რომლებიც საკმარისია ახალი დიდტონაჟიანი გემებისათვის.

ჰიდროელექტროსადგურების მთელი კასკადისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება კრემენჩუგის ჰიდროკვანძს, რომელიც შენდება. ამ ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 450 ათასი კილოვატი იქნება. წყლის მარაგი კრემენჩუგის უზარმაზარ წყალსაცავში შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გადიდდეს გამომუშავება ყველა ჰიდროელექტროსადგურისა, რომლებიც მდინარის ქვემო წელშია, მათ შორის დნეპროძერჟინსკის ჰიდროელექტროსადგურისაც, რომლის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო. ამ ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც ქალაქ დნეპროძერჟინსკის ფარგლებში აშენდება, 250 ათასი კილოვატი სიმძლავრე ექნება.

მეექვსე ხუთწლედის დამლევს დაიწყება მშენებლობა დნეპრზე მეხუთე დიდი, კანევის ჰიდროელექტროსადგურისა, რომლის სიმძლავრე აგრეთვე 250 ათასი კილოვატი იქნება.

დაპროექტებულია მეექვსე ხუთწლედის შემდეგ აშენდეს მეექვსე და უკანასკნელი დიდი ჰიდროელექტროსადგური დნეპრზე — კიევის ჰიდროელექტროსადგური. მთელი რიგი შედარებით მცირე ელექტროსადგურები აშენდება ზემო დნეპრზე და მის შენაკადებზე. ამ ჰიდროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე აგრეთვე ასეულ ათასობით კილოვატი იქნება.

უკვე მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის დნეპრის ჰიდროელექტროსადგურების წლიური გამომუშავება ათ მილიარდამდე კილოვატსაათს მიაღწევს. მძლავრი დნეპრის იაფი ჰიდროენერგია ქვეყანას დაუზოგავს მილიონობით ტონა ძვირადღირებულ სათბობს—ქვანახშირს. დნეპრზე უზარმაზარი წყალსაცავების შექმნა ძირეულად აუმჯობესებს მდინარის სანაოსნო პირობებს, ხოლო მომავალში სანაოსნო არხები შეაერთებენ დნეპრს ოკასთან, დასავლეთ დვინასთან, ნემანთან და ვისლასთან და უზრუნველყოფენ პირდაპირ მიმოსვლას კიევსა და მოსკოვს შორის, შავ ზღვასა და ბალტიის ზღვას შორის.

დნეპრზე და მის შენაკადებზე ჰიდროტექნიკური მშენებლობა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს ეყრდნობოდა და ეყრდნობა. უკრაინელი ჰიდროტექნიკოსები კონსულტაციას უწევენ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანას: ჩინეთს, ვიეტნამს, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთს, პოლონეთს. გვაქვს ბევრი რამ, რაც შეგვიძლია გავუზიაროთ ტექნიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც.

**ბ. პიუკინი,**
უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი.



ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური.

# გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Володимир СОСЮРА**

## В братерській сім'ї

Вже сорок літ, як садом Україна
в сім'ї братерській пишно розцвіла...
Вже сорок літ, як, зоряна, орлина,
вона вершить невидані діла.
Народів дружба множить наші сили,
вона живе в окрилених серцях.
О ні, не марно першою ступила
Вкраїна в Жовтні на Росії шлях!
В ефірі чуть курантів срібні звуки...
Завжди, завжди з тобою ми, Москва!
В борні й труді твою могутню руку
моя Вкраїна гордо відчува.
Весни народів сонце золотес
горить над ними радісним огнем.
Вже сорок літ під Леніна зорею
як рівні ми між рівними живем.
Шумлять заводи і сади квітчасті,
в труді життя ми творим молоде.
Вже сорок літ, як на вершини щастя
мою Вкраїну партія веде.
В труді життя ми творимо могутнє.
Так сяй же нам, до Комунізму путь!
Це по тобі у сонячне майбутнє
Країни Рад республіки ідуть.
Над ними небо, миру небо лине,
їх не здолать нікому і ніде.
І поміж ними зоряна Вкраїна
під стягом Жовтня радісно іде.
Їх путь — це путь народів, що із ночі
ідуть за ними з сонцем у очах,
і, як громи, в віках їх крок гуркоче,
щоб назавжди загинув рабства жах.
З мільйонів вуст гримить наш тост
прекрасний:
«За вічний мир і дружбу між людей!»
Хай світить путь нам сонцем
непогасним
безсмертне сяйво ленінських ідей!

**ვოლოდიმირ სოსიურა**

## ძმურ ოჯახში

გაბრწყინებულან ჩვენი ველები,
ხალისით მღერის ქვეყანა მთელი;
ლაღი ცხოვრების, ბედნიერების
უკვე შესრულდა ორმოცი წელი.
გულში ულევი სიტკბო გვეგულვის,
გვალხენს სამშობლოს უქრობი ეშხი;
დიახ, რომ მართლაც დღე-დიდებული
იყო ოქტომბრის შემოსვლა ჩვენში.
კრემლის ვარსკვლავნი უქრობ სხივს
გვფენენ,
მიმოუფანტავთ ირგვლივ წყვდიადი;
დიდო მოსკოვო, შენ გაგვითენე,
შენ მოგვიტანე ეს დღე დიადი.
გაუხარია ჩემს უკრაინას,
აგვსრულებია, რაც გვინატრია;
ეს სიხარული და ამ დღის ბრწყინვა
შენ შეგვიქმენი, დიდო პარტიავ!
შენ გვაპყრობინებ მაღალ
მწვერვალებს,
შენს სახელს მარად მოსავს ნათელი,
და უკვე ვხედავთ, როგორ ელვარებს
მზე — კომუნიზმის დღე სანატრელი.
გაუფატრია მაღლა დრუბლები
და მოჩანს ჩვენი დროშა გაშლილი,
პარტიამ შექმნა მარად ურღვევი
ძმური საბჭოთა ხალხთა კავშირი.
მათი ხმა ერთად, მძლავრად
გუგუნებს,
მათი ხმა ზეცის დარბაზებს არხევს,
დაე ესმოდეს საუკუნეებს:
თავისუფლება, მშვიდობა ხალხებს!
ჩვენი გზა მუდამ არის მართალი, —
ხალხების მხსნელად, მზედ
მოვლენილი,
დიდი ოქტომბრის დიდი სარდალი
წინ მიგვიძღვება ბრძენი ლენინი.

თარგმანი ნ. გურეშიძისა.



უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. მარცხნიდან: სტალინოს ოლქის სტაროზეშევსკის რაიონის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ბ. მ. ანგელინა, ჩერკასკის ოლქის კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ კომუნიზმას" თავმჯდომარე ი. დ. ბაშჩენკო, ტერნოპოლის ოლქის მელნიცა-პოდოლსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ე. ო. დოლინიუკი, ოდესის ოლქის ბერეზოვსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ო. პოსმიტნი, სუმის ოლქის შოსტკინის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" თავმჯდომარე ქ. ო. ციბენკო, კიევის ოლქის გრებენკოვის რაიონის სოფელ ლოსიატნიას კოლმეურნეობის მერგოლური ს. დ. ვიშტაკი, ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. პ. ლიტოვჩენკო, ჩერკასკის ოლქის ტალნოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზდობუტოკ ჟოვტნიას" თავმჯდომარე თ. ი. დუბკოვეცკი, სუმის ოლქის ლებედინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი მ. ხ. სავჩენკო.

ფოტო ი. დავიდზონისა.

## სიყვარულით, პატივისცემით

პოლტავა, მირგოროდი, ხოროლი, ზუბოვკა... ეს ის ძვირფასი ადგილებია, სადაც საქმიან ურთიერთობაში იჭედებოდა ქართველებისა და უკრაინელების ძმობა და მეგობრობა.

მირგოროდში შეიქმნა დ. გურამიშვილის უკვდავი „დავითიანი". მირგოროდსა და ზუბოვკაში დაიწერა შთამაგონებელი ლექსები „ქართლის ჭირზე" და უკრაინელ გოგონაზე. მირგოროდიდან უმღეროდა გურამიშვილი ზედაზნის მთებსა და არაგვის ჭალებს. ქართველი და უკრაინელი გლეხების გამრჯე მარჯვენას. ამიტომაც ქართველობასთან ერთად უზომოდ უყვარს და დიდი პატივით ეპყრობა მის ხსოვნას უკრაინელი ხალხი.

ასევე პატივით ეპყრობა ჩვენი ხალხი დიდი უკრაინელი მწერლის — ლესია უკრაინკას ხსოვნას. ამ სამაგალითო მწერალმა ქალმა თავისი ლამაზი სიცოცხლე სურამში დაასრულა. გურამიშვილის ძეგლი მირგოროდში და უკრაინკას ძეგლი სურამში ჩვენი ხალხების ძმობის სიმბოლოა.

პროფესორი ა. ბარამიძე.

## უკრაინა — საქართველო

### სამარადისო მეგობრობა

მახარაძის რაიონი ჩამორჩენილი იყო მეცხოველეობის განვითარებაში. გენიჩესკელები ქართველ ძმებსა და დებს დაეხმარნენ თავიანთი მდიდარი გამოცდილებით და მაღალნაყოფიერი პირუტყვით.

არც ქართველი მეგობრები დარჩენილან ვალში. ისინი გამოცდილებით და სარგავი მასალით დაგვეხმარნენ იმაში, რომ აღმავლობის გზაზე დაგვეყენებინა მებაღეობა და მევენახეობა. საქართველოს მარადმწვანე ხეები ამშვენებს გენიჩესკისა და ხერსონის ქუჩებს. ასეთი მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

მაგრამ ამ მეგობრობის ნაყოფი შესამჩნევია არა მარტო სამეურნეო, არამედ კულტურულ მშენებლობაშიც. გენიჩესკის მეგობრობის მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში ექსპონირებულია ქართველი მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის რობერტ სტურუას შესანიშნავი სურათი. სურათზე აღბეჭდილია ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა ერთ-ერთი სასიხარულო შეხვედრა საქართველოში. მოქანდაკე დავით ურუშაძე ამზადებს მონუმენტს, რომლის შინაარსია მარადიული მეგობრობა უკრაინელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის.

ჩვენ სიხარულით შევიტყეთ, რომ მახარაძის რაიონში შექმნილია კოლმეურნეობა „უკრაინა". გენიჩესკის რაიონში ერთ-ერთი კოლმეურნეობა საქართველოს სახელს ატარებს, გენიჩესკის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მახარაძის ქუჩა ეწოდა,

**გ. ლიტოვჩენკო,**
გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

• • •

### შეჯიბრების ძალა

სამი წლის წინათ ჩვენი კოლმეურნეების ჯგუფი იყო ზუგდიდის რაიონში. სხვებთან ერთად ქართველ მეგობრებთან სტუმრად მეც ვიყავი. ღვიძლი ძმებივით მიგვიღეს ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა. სადაც კი მივედით, ყველგან ძმურად გვხვდებოდნენ.

წამოსვლისას ქართველი ამხანაგები ჩვენთან დავპატიჟეთ. და აი წელს, დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩვენ კვლავ სიხარულით მივეგებეთ ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დელეგაციას. ქართველ კოლმეურნეთა ყოფნა ჩვენს რაიონში გადაიქცა ორი მოძმე ხალხის ურღვევი მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად.

ქართველთა დელეგაცია ჩვენს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც იყო. მე, როგორც უძველეს კოლმეურნეს, წილად მხვდა დიდი პატივი — ძველი უკრაინული ჩვეულებისამებრ შევეგებებოდი ჩვენს სტუმრებს პურ-მარილით. პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა, მიიღო რა ეს პურ-მარილი, მადლობა გადაგვიხადა და ახალი წარმატებანი უსურვა ჩვენს კოლმეურნეებს.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ თათბირზე შეჯამებულ იქნა ტალალაევკისა და ზუგდიდის რაიონების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

გვჯერა უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება მეგობრობა უკრაინელებსა და ქართველებს შორის, უფრო მასობრივი და მებრძოლი გახდება ჩვენი შეჯიბრება.

**მ. მოკი,**
უკრაინის სსრ სუმის ოლქის ტალალაევკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მებაღეობა-მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირი.

• • •

### იქ, სადაც ვიბრძოდი

ხვალ უკრაინელი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულია. სიამაყით მაგონდება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ეპიზოდები. მაგონდება უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ს. კოვპაკის პარტიზანულ შენაერთებში განვლილი მრისხანე დღეები. მიხარია, რომ ვიბრძოდი უკრაინის მიწა-წყალზე, ამ ხალხის საუკეთესო შვილების მხარდამხარ.

პირადად ჩემთვის უკრაინა მეორე სამშობლოა, რომლის მიწა-წყალზე ვიბრძოდი დიდი სამამულო ომის წლებში. ვუსურვებ უკრაინელ ხალხს ახალ გამარჯვებებს სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

**დ. ბაქრაძე,**
საბჭოთა კავშირის გმირი.

* * *

### ჩვენი სალამი

ურღვევია უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობა. რაც დრო გადის, ეს მეგობრობა და ურთიერთ ძმური კავშირი სულ უფრო ძლიერდება და მტკიცდება.

არაერთხელ ვყოფილვარ მოძმე უკრაინაში. მინახავს ინდუსტრიის შესანიშნავი კერები, აღორძინებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გავცნობივარ ამ გმირი ხალხის კულტურის ძეგლებს და აუწერელ სულიერ სიმდიდრეს.

დღეს საბჭოთა უკრაინა ამაყად მიაბიჯებს კომუნიზმის ნათელ გზაზე. მხურვალე ძმური სალამი უკრაინელ მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორმოცე წლისთავზე!

**მ. ორაგველიძე,**
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## უკრაინელ მეცნიერთა წვლილი

ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო უკრაინის მეცნიერებამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. უკრაინელმა მეცნიერებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ დარგში. ნიჭიერი უკრაინელი საბჭოთა მეცნიერების მთელმა პლეადამ თავისი კვლევითა და აღმოჩენებით საყოველთაო-სახალხო აღიარება ჰპოვა.

ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი სახელები დ. ზაბოლოტნის, ა. დინიკის, მ. ფედოროვის, ე. პატონის, ა. ბოგომოლეცის, ა. პალადინის, ვ. ფილატოვის, ნ. სტრაჟესკოსი და უკრაინის ბევრი სხვა გამოჩენილი მეცნიერისა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საბჭოთა მეცნიერებას თავიანთი ბრწყინვალე გამოკვლევებით.

თავისი არსებობის 40 წელიწადში უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. მის შემადგენლობაში შედის 50-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხუთ განყოფილებაში — საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა, ქიმიურ და გეოლოგიურ მეცნიერებათა, ტექნიკურ მეცნიერებათა და ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში — ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა საბჭოთა მეცნიერების დიდი რაზმი.

მარქსიზმ - ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებულ უკრაინელ მეცნიერებს ღირსეული წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში. მათ დიდი მუშაობა გასწიეს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის.

შემოქმედებითი თანამშრომლობით მუშაობენ უკრაინელი და ქართველი ფიზიოლოგები, რომლებიც ერთობლივი ღონისძიებებით წარმატებით ამუშავებენ ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. უკრაინაში კარგად არის ცნობილი ნაშრომები თბილისის მათემატიკოსთა სკოლისა, რომელსაც სათავეში უდგას აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

უკრაინელი ასტრონომები მუშაობენ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებთან მჭიდრო კონტაქტით. უკრაინელი და ქართველი ასტრონომები ერთიანი კომპლექსური გეგმით სწავლობენ ირმის ნახტომის აგებულებას. ასეთი მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

კომუნისტური პარტიის მგზნებარე მოწოდებებით აღფრთოვანებულ უკრაინელ მეცნიერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რაც შეიძლება მალე გადაჭრან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემები.

**ა. შჩერბანი,**
უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

## ხარატის სიტყვა

მე მიმუშავნია თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში. ჩვენ, კრასნიექსკავატორელები, ჩვენს პროდუქციას ვუგზავნით საქართველოს მშენებლობებს.



როცა ქართულ ჩარხებთან ვმუშაობ, როცა ხელით ვეხები ქართველი ამხანაგების შრომის ნაყოფს, ვგრძნობ ძმური მეგობრობის სითბოს. ამასვე გრძნობენ ქართველი მუშები, როცა ხელით ეხებიან ჩემი და ჩემი ამხანაგების მიერ დამუშავებულ დეტალებს.

ღრმა, მარადიულმა მეგობრობამ შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკები.

ჩვენი სასიხარულო ზეიმის დღეებში მინდა გულითადი სალამი გადავცე ქართველ ხალხს.

**ვ. სემინსკი,**
კიევის ქარხანა „კრასნი ექსკავატორის" ხარატი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

## ჩემი მეგობარი-ოცდაათათასელი

**ვასილ მინკო**

თუ გახსოვთ რეპინის ცნობილი სურათი „ზაპოროჟელები". სურათის შუაგულში ზის ულვაშიანი კაზაკი, რომელიც წერილსა სწერს თურქეთის სულთანს. სწორედ ამ კაზაკსა ჰგავს ჩემი მეგობარი — თეოდოსი ევგენისძე ციბულკო. თეოდოსი და მე თანასოფლელები ვართ. ოციანი წლების დასაწყისში ჩვენ, გლეხი ბიჭები, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ ხარკოვის მუშფაკში გაგვგზავნა სასწავლებლად. მუშფაკისა და მერე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მე ლიტერატურულ მოღვაწეობას მივყავი ხელი, ჩემი მეგობარი კი აგრონომი გახდა.

ომის შემდეგ ეს უნარიანი აგრონომი დააწინაურეს და პოლტავაში გაგზავნეს სამუშაოდ. იგი პარტიის საოლქო კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილებას განაგებდა, აგრეთვე იყო პოლტავის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. მაგრამ აი პარტიამ მოუწოდა: ნიჭიერი ორგანიზატორები — სოფელს. თეოდოსი ციბულკომ ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა თავი ოცდაათათასელად. შარშანწინ ივნისში იგი აირჩიეს პოლტავის რაიონის სოფელ პარასკოევკას კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. როცა ეს გავიგე, ვესტუმრე. ადრე ზაფხული იყო. თეოდოსიმ მინდვრებში გამატარა და მეცხოველეობის ფერმები დამათვალიერებინა. ის თავს მშვენივრად გრძნობდა. გატაცებით მიამბობდა, რა გააკეთა კოლმეურნეობაში და, რაც მთავარია, რის გაკეთებას აპირებს.

ვიკითხე, როგორია ახალი თავმჯდომარე-მეთქი. მათ ერთმანეთს გადახედეს — ნუთუ რაიმე ნაკლი ვუნახე მათს თავმჯდომარეს? ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ, მიამბობდნენ, რა გაკეთდა მათთან უკანასკნელ წელს.

— ჩვენი ფერმა თუ ნახეთ? — სამწუხაროა, რომ არა. ახლავე გაემგზავრეთ, გირჩევთ...

შორს, სოფელში ელექტრონათურები აბრჭყვიალდნენ.

— ხედავთ, ხედავთ?.. — ელექტროენერგიაც ჩვენი ახალი თავმჯდომარის დამსახურებაა, — განაგრძობდნენ კოლმეურნეები. — რადიო ყოველ სახლშია, ახალი ორსართულიანი კლუბის აშენებაც დავიწყეთ...

სასიამოვნო იყო ყოველივე ამის მოსმენა ჩემს მეგობარზე. კარგი მეურნე! შესანიშნავი ადამიანი. ნუთუ შეიძლება კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამაზე მეტი შექება?

გვიან საღამოს შევხვდი თეოდოსის. დაღლილი კი იყო, მაგრამ მზად იყო მთელი საღამო ელაპარაკა კოლმეურნეობის საქმიანობაზე. საუბარი დავიწყეთ შორეული რევოლუციამდელი დროიდან. ჩვენ მაშინ პატარა ბიჭუნები ვიყავით და ზაფხულობით დედებთან ერთად ვმუშაობდით მემამულე ვოლიკის ჭარხლის პლანტაციებში.

— გახსოვს, როგორ ვკამათობდით: შეიძლება თუ არა კაცმა ერთ დღეში შემოუაროს მემამულის ყანებს?

— როგორ არ მახსოვს? — იღიმება ციბულკო. — შენს კოლმეურნეობაში ხომ ნაკლები მიწა არ არის?

— იმდენივეა — ხუთი ათასი ჰექტარი. ჩვენ ახლა — ორმოცი წლის შემდეგ დავიწყეთ ჩვენი ყოფილი მემამულის გაკრიტიკება. ციბულკო შავ ულვაშზე ხელს ისვამდა და ამბობდა:

— ძროხები და ცხვრები ფერმებში თხუთმეტჯერ მეტი გვყავს, ვიდრე ვოლიკს. ხეხილის ბაღი... რომ მოდიოდი გზად, ალბათ ნახავდი — 180 ჰექტარზეა გადაჭიმული.

იყივლეს პირველმა მამლებმა. ძილს მივეცით თავი... ციბულკოს, როგორც ყოველთვის, ხუთ საათზე გამოეღვიძა.

გავემგზავრეთ: მზის ამოსვლას ველზე დავესწარით, რომელიც ხელისგულივით იყო გადაშლილი. ყანებში უკვე მუშაობდნენ ტრაქტორები, კომბაინები. მთავარ გზას გადავუხვიეთ და სოფლის შარაგზას გავყევით. ბოლოს ძროხების საზაფხულო ბანაკთან აღმოვჩნდით. მწველავები ძროხებს წველავდნენ. თავმჯდომარე უბრალოდ ხელის ჩამორთმევით მიესალმა მათ.

პატარა ვაგონის კედელზე ჰკიდია წველადობის გრაფიკი. ლურჯი მრუდი უჩვენებს გასული წლის წველადობას, წითელი—წლევანდელს. განსხვავება თითოეულ ძროხაზე ათას ლიტრს შეადგენს. ორმოცი პროცენტი წელიწადში.

— სიმინდმა გაზარდა წველადობა?—ვეკითხები.

— განა მარტო სიმინდმა?—მიპასუხა ციბულკომ — ადრეც სიმინდით კვებავდნენ ძროხას.

— ჩვენ ძალიან დაგვეხმარა საბანაკო ძოვების სისტემა და ელექტრომწყემსი, — დასძინა ამ დროს ჩვენთან მოსულმა მეცხოველემ პანასმა.

ელექტრომწყემსის მთელი მოწყობილობა კოლმეურნეობას ოცი ათასი მანეთი დაუჯდა. ეს თანხა ერთ თვეში აინაზღაურეს. ციბულკომ უბის წიგნაკი ამოიღო და ციფრები მომაყარა.

— აი, დააკვირდი, წინა წლებში კოლმეურნეობას მწვანე საკვების მოტანა ფერმაში ყოველდღიურად 150 შრომადღე უჯდებოდა. ახლა კი სულ თორმეტ შრომადღეს ვხარჯავთ. ფულზე რომ გადავიყვანოთ, ელექტრომწყემსი მარტო ერთი ზაფხულის განმავლობაში 300 ათას მანეთის ეკონომიას გვაძლევს. იცი თუ არა, რას ნიშნავს ეს?

— მესმის, ვიცი.

— არ იცი! — მეცა ჩემი მეგობარი. — რატომ ხდება, რომ ყველაფერი სიახლე ასე ტაატით შედის ცხოვრებაში? რატომ არ აძლევენ გასაქანს?

— მე რა შუაში ვარ?

— შენ მწერალი ხარ. უნდა ყვიროდე, ლანძღავდე, ვინც დამნაშავეა. შენ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია. აი მომისმინე და ციბულკო ასეთ ამბავს მოჰყვა:

— შარშან კოლმეურნეობაში 200 ჰექტარი მზესუმზირა გვეთესა. მოსავალი დროზე ავიღეთ. ღეროები კი დავტოვეთ თოვლის შესაკავებლად.

დადგა გაზაფხული. ციბულკომ გადაწყვიტა აღარ მოეჭრა ღეროები. განკარგულება გასცა ფოცხით წაექციათ ისინი და შემდეგ მინდორი დისკოიანი კულტივატორით დაემუშავებინათ. ეს ამბავი პოლტავაში რომ გაიგეს, კოლმეურნეობაში კომისიას კომისიაზე გზავნიდნენ. ვისაც უნდოდა, ის გამოიძახებდა თავმჯდომარეს და ლანძღავდა: როგორ გაბედე დაგერღვია აგროტექნიკა, შენ ხომ ძველი აგრონომი ხარ, ხომ იცი, რომ ეს ნამდვილი დანაშაულიაო. ციბულკო თავს იცავდა, ამტკიცებდა, რომ ეს დანაშაული არ იყო, რომ მზესუმზირას დაქუცმაცებული ღერო მშვენიერი სასუქია და მშვენიერი სასუქიც. მაგრამ ვინ მოუსმინა! დასცინოდნენ, ემუქრებოდნენ. აბა ერთი კიდევ გაბედე და თვითნებურად გააკეთე რამე, შენს თავს დააყვედრე, რაც მოგივიდესო. ამასობაში ისეთი ქერი და თერო ამოვიდა, რომ ნუ იტყვით. ამოვიდა შარშანდელი მზესუმზირას ნარჩენები, რომლის იმედი ჰქონდა ციბულკოს, და პოლტაველმა ვაი-კრიტიკოსებმა სირცხვილი ჭამეს. ბალახი მთელი კოლმეურნეობის საქონელს ეყო და ერთი მესამედი სილოსისათვის მოვთიბეთ.

შევეკითხე, ვინ გინდა გავაკრიტიკო, გვარები დამისახელე-მეთქი. ციბულკოს გაეცინა, მიპასუხა:

— არა, ამჯერადაც ისე დაწერე, დაუსახელებლად, დაე თვითონ მიხვდნენ. კოლმეურნეობათა თითქმის ყველა თავმჯდომარეს უყვარს დაასახელოს დიდი ციფრი, შეხედე — ციფრი ჯიუტიაო. ჩემს მეგობარს ციბულკოსაც უყვარს ციფრები, მაგრამ ერთი განსაკუთრებით — ეს ციფრია ექვსი მილიონი შემოსავალი.

ხუთწლედის ბოლოს შემოსავალი ათ მილიონამდე უნდა აიყვანონ.

ვისაუზმეთ ალუბლის ხის ქვეშ, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი ჩრდილიანი ხე იყო ციბულკოს ნაკვეთებში. ეს ნაკვეთი ციბულკოს კოლმეურნეობამ გამოუყო, მაგრამ ჩემი მეგობარი ხეხილის ბაღების დიდი მოყვარულია და უკვე მოესწრო ორმოცდაათამდე ვაშლის ხის დარგვა. ამ ნორჩ ბაღში იგი ქვითკირის დიდ ქალაქურ სახლს აშენებს.

— მაშ სერიოზულად, დიდი ხნით აპირებთ დარჩენას?

— სამუდამოდ, — მიპასუხებს ჩემი ჭაღარა, მაგრამ ჯერ კიდევ შავულვაშა მეგობარი.

ქ. კიევი.



ა. წერეთლისა და ტ. შევჩენკოს შეხვედრა. ნახ. ტ. ბარდაძისა.

## რათ გვიყვარს უკრაინა?

უკრაინა! — საოცარი ლეგენდებისა და ზღაპრების, ახლა ხორცშესხმულ ოცნებათა მხარე; მამაცი და ლამაზი ხალხის, გულში ჩამწვდომი სიმღერებისა და თვალწარმტაცი პეიზაჟების, აყვავებული ალუბლის ბაღებისა და ვერცხლისფრად მოლივლივე მდინარეების ქვეყანა; ქვეყანა ლამაზი, მდიდარი, ოკეანედ გადაშლილი მიწისა, რომლის გამოვლით უკრაინელთა დანაბარები სალამი მოაქვს ჩვენთვის და მერმე შავ ზღვას ეკონვის უხვწყლიანი დიდი დნეპრი.

— უკრაინა! — მარგალიტი ჩვენი დიადი საბჭოეთის თხუთმეტი რესპუბლიკის თანავარსკვლავედისა — საბჭოთა, თავისუფალი, შემოქმედი რესპუბლიკა; გმირობის, სიმამაცისა და სილამაზის უკრაინა!

უკრაინა! — პუშკინისა და შევჩენკოს, გოგოლისა და კოციუბინსკის, ფრანკოსა და უკრაინკას მხატვრული სიტყვით უკვდავყოფილი!

რათ გვიყვარს უკრაინა? — საქართველოსავით მძიმე ბედგამოვლილი, მასავით ერთ ისტორიულ მტერთან — ხონთქრის ოსმალეთთან შენაბრძოლები, საქართველოსებრ წარსულში მუდამ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ შემართული, თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისი კულტურისა და მიწა-წყლის დაცვაში გამობრძმედილი, ისტორიული მეგობრობის მრავალი ძაფით ჩვენს ხალხთან დაკავშირებული, ჩვენთან ერთად სამარადისოდ ძმადნაფიცი დიდი რუსი ხალხისა...

უკრაინა! — მუსორგსკისა და ჩაიკოვსკის უკვდავ ნოტებზე ამღერებული, რეპინის ყალმით დახატული, ჩვენი დიდი

დავითის მეორე სამშობლო, ვის მიწასაც აბარია მხურვალე გული ამ ქართლელი და მირგოროდელი პოეტისა. არც დავითის ქართლი დარჩენია ვალში უკრაინას — ქართლი ინახავს ლესია უკრაინკას მგზნებარე გულის მარადიულ ხსოვნას — სურამში მისი ძეგლია და პოეტური მგზნებარებით თითქოს გასცქერის აქედან მირგოროდელი ქართველი ძმის — გურამიშვილის გრანიტის მონუმენტს.

რათ გვიყვარს უკრაინა? — ერთმანეთს მეგობრებად შეხვედრიან მისი ჭაღარა შევჩენკო და ჩვენი ჭაბუკი აკაკი. ერთ ჰანგზე უმღერიათ უკრაინის კობზარს და საქართველოს სალამურს—ხალხის ბედზე, სამშობლოს სიყვარულზე. იქ დავაქკაცებულა „ქართველი უშინსკი" იაკობ გოგებაშვილი — ჩვენი ტკბილი „დედა ენისა" და „ბუნების კარის" უკვდავი შემქმნელი; უკრაინა დედობილი ყოფილა ნორჩი დავით კლდიაშვილისა.

რათ გვიყვარს უკრაინა? — მისთვის უმღერიათ ჩვენს პოეტებს და მისი სიყვარულით უწერიათ ჩვენს ბელეტრისტებს. ქართული კულტურის საგანძურშია ლეონიძის და ლორთქიფანიძის, გამსახურდიას და ჩიქოვანის შესანიშნავი ქმნილებანი — უკრაინისა და მისი ხალხისადმი სიყვარულით შთაგონებულნი.

მის მიწას აბარია, როგორც სიმბოლო მარადიული ძმობისა, რვაას თორმეტის სამამულო ომის გმირი გენერალი ლევან იაშვილი — განსვენებული კიევის ლავრაში; კიევშივე, პეჩერის ლავრის ახლოს, დნეპრის ნაპირას მაღალ ბორცვზე, „მარადიული დიდების პარკში" გრანიტის ობელისკის ახლოს, რომლის კვარცხლბეკიდან სიყვარულის ჩაუქრობელი ალი გიზგიზებს დღედაღამ, მრავალთა შორის გრანიტის ლოდქვეშ ასვენია დიდი სამამულო ომის გმირი — საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ გოგიჩაიშვილი — დნეპრის ფორსირებისა და კიევის განთავისუფლებისათვის გმირულად დაცემული ქართველი ვაჟკაცი.

რათ გვიყვარს უკრაინა? — ჩვენთვის ისევე მშობლიურია მისი მირგოროდი და ზუბოვკა, როგორც ჩვენი გორი და სურამი, მისი ტალალაევკა — როგორც ჩვენი ზუგდიდი, მისი გენიჩესკი — როგორც ჩვენი მახარაძე, მისი ნიკოპოლი და მარგანეცი — როგორც ჩვენი ჭიათურა, ჩვენთვის ისევე მშობლიურია მისი სტალინო — როგორც ჩვენი რუსთავი, და მისი ზაპოროჟიე — როგორც ჩვენი ზესტაფონი. ვინ არ იცის დღეს ზემოთ დასახელებული ქალაქებისა და რაიონების მჭიდრო მეგობრული, ნამდვილად ძმური კავშირი — განმტკიცებული სოციალისტური შეჯიბრებითა და ქართულ-უკრაინული პურ-მარილით.

ჩვენთვის ისევე მშობლიურია მისი კიევი, როგორც ჩვენი თბილისი.

რათ გვიყვარს უკრაინა? — ჩვენ დაგვაძმობილა ერთმა იდეამ — კომუნიზმის იდეამ.

**ვლ. თოფურია,**
**სტ. არღუნელი.**

კიევი — თბილისი,
დეკემბერი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

(დასასრული)

[illegible]

ღონისძიებანი, შეერთებული ყველა სხვა ხალხის ღონისძიებებთან, რომელნიც იცავენ ყველა ერს შორის მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილურ საქმეს, წარმატებით დაგვირგვინდება, და კაცობრიობა, რომელიც გადარჩება ახალი ომის საფრთხეს, შეძლებს მშვიდობიან შრომას მოახმაროს მთელი თავისი ძალღონე.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 21 დეკემბერი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 585.925.202 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში 563.481.581 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 22.443.621 ათასი მანეთის გადამეტებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## „მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულება „მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1957 წლის 30 მაისისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ";

1957 წლის 1 ივლისისა „სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ";

1957 წლის 23 აგვისტოსი „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ";

1957 წლის 14 დეკემბრისა „სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროების: საავიაციო მრეწველობის, თავდაცვის მრეწველობის, რადიოტექნიკური მრეწველობისა და გემთსაშენებლო მრეწველობის სამინისტროების გაუქმებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის, თავდაცვის ტექნიკის, რადიოელექტრონიკისა და გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტების შექმნის შესახებ".

**მუხლი 2.** ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**„მუხლი 70.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

სსრ კავშირის მინისტრები;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვის ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით".

**„მუხლი 77.** საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

საგარეო ვაჭრობისა;
საზღვაო ფლოტისა;
გზათა;
საშუალო მანქანათმშენებლობისა;
სატრანსპორტო მშენებლობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა".

**„მუხლი 78.** საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

შინაგან საქმეთა;
უმაღლესი განათლებისა;
გეოლოგიისა და წიაღის დაცვისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგარეო საქმეთა;
კულტურისა;
თავდაცვისა;
კავშირგაბმულობისა;
სოფლის მეურნეობისა;
ვაჭრობისა;
ფინანსთა;
პურის პროდუქტებისა".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## „არასასაქონლო ოპერაციების გადასახადის გაუქმების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულება „არასასაქონლო ოპერაციების გადასახადის გაუქმების შესახებ".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## „ესტონეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულება „ესტონეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# კ ა ნ ო ნ ი

## „იმ მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომლებსაც შვილები ჰყავთ, აგრეთვე მარტოხელა ქალებისაგან, რომლებსაც შვილები არა ჰყავთ, სსრ კავშირის უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინების გაუქმების თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „იმ მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომლებსაც შვილები ჰყავთ, აგრეთვე მარტოხელა ქალებისაგან, რომლებსაც შვილები არა ჰყავთ, სსრ კავშირის უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინების გაუქმების შესახებ".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## სსრ კავშირის მინისტრების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1957 წლის 24 მაისისა — სსრ კავშირის მინისტრებად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეების ამხანაგების მიხეილ ვასილის-ძე **ხრუნიჩევის,** ვასილ პეტრეს-ძე **ზოტოვის,** ნიკოლოზ ივანეს-ძე **სტროკინის** და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებათა უფროსების ამხანაგების ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასიადკოს,** ექვთიმე სტეფანეს-ძე **ნოვოსიოლოვისა** და გრიგოლ სერგის-ძე **ხლამოვის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 30 მაისისა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის-ძე **მაცკევიჩის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 29 ივნისისა — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრად ამხ. ალექსი სერგის-ძე **პავლენკოს** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 5 ივლისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. იური ევგენის-ძე **მაქსარიოვის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 11 ივლისისა — სსრ კავშირის მინისტრად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის ამხ. ალექსანდრე აკიმის-ძე **იშკოვის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 24 ივლისისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინის** დანიშვნისა და სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ;

1957 წლის 24 ივლისისა — სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად ამხ. ექვთიმე პავლეს-ძე **სლავსკის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 26 ოქტომბრისა — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად საბჭოთა კავშირის მარშალ როდიონ იაკობის-ძე **მალინოვსკის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 25 ნოემბრისა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად ამხ. ვლადიმერ ნიკონის-ძე **სტაროვსკის** დანიშვნის შესახებ;

1957 წლის 14 დეკემბრისა — იმის შესახებ, რომ დაინიშნონ:

ამხ. პეტრე ვასილის-ძე **დემენტიევი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად;

ამხ. ალექსანდრე ვასილის-ძე **დომრაჩევი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვის ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად;

ამხ. ვალერი დიმიტრის-ძე **კალმიკოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად;

ამხ. ბორის ევსტატეს-ძე **ბუტომი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გემთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად;

1957 წლის 18 დეკემბრისა — ამხ. გიორგი ვასილის-ძე **ენიუტინის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

**რედაქტორი პ. რატიანი.**


მეუღლე ანეტა, დები ვერა, ოლია, მომილა, ქრისტინე, ძმები ვასილ, ნოე ოჯახებით იუწყებიან
**სიმონ გიორგის-ძე სხირტლაძის**
გარდაცვალებას. ვამოსვენება 24-XII, 4 ს. საბჭოს ქ. № 213.

მეუღლე მარიამ, შვილები გივი ჩიგოგიძე, თინათინ ხატიაშვილი, სიძეები დიმიტრი, ილია ოჯახებით იუწყებიან
**მამია მირონის-ძე ჩიგოგიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XII, 4 ს. სოფ. წნორში (სიღნაღის რ.).

მეუღლე ლიზა, შვილები გიორგი, იროდიონ, ვაჟა, თამარ, ნინო, რძლები სონია, ქეთევან, ნუნუ, რიმა შარიქაძეები შვილებით იუწყებიან
**ივანე გიორგის-ძე შარიქაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XII, 5 ს. სოფ. ლეღვანში. (ორჯონიკიძის რ.).

დედა კესა, მეუღლე გიორგი, შვილები ლილი, გივი, ქეთევან, ძმა ბ. ურუშაძე, და ვარდო, სიძეები ბ. ვადაჭკორია, ო. ჭკუასელი, რძალი ნ. რატიანი ოჯახებით იუწყებიან
**ელენე ერასტის ასულ ალიბეგოვის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII, 7 ს. გამოსვენება 26-XII, 4 ს. კრონშტადტის ქ. № 51.

დედა მარო, ნიკოლოზ, ლინა, მილა, ცისანა ლოლაძეები იუწყებიან
**გიორგი დავითის-ძე ლოლაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII 8 ს. გამოსვენება 26-XII, 3 ს. გორის ქუჩა № 3.

შვილები ოლია, მიხეილ, ნატაშა, რძალი მარიამ, სიძე ვ. ფანჩულიძე შვილებით იუწყებიან
**ეკატერინე გიორგის ასულ ეფრემიძე-ყუფარაძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-XII, 8 ს. ბროსეს ქ. № 11. დაკრძალვა 28-XII, 4 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ერევნის ჩიხი № 3.

მეუღლე ანასტასია, შვილები ალექსანდრე, იოსებ, რძლები ქეთევან, თინათინ; ილია ბერიშვილი იუწყებიან
**სტეფანე იოსების-ძე ბერიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII, 8 ს. გამოსვენება 26-XII, 3 ს. ბარნოვის ქ. № 60.

შვილი ნადია, სიძე ვასილ გიორგაძე, ნანული, მედეა გიორგაძეები იუწყებიან
**მატრონა თადეოზის ასულ იაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII, 8 ს. გამოსვენება 26-XII, 4 ს. საბჭოს ქ. № 102.

შვილები ლოლია, ანიკო; ედმონდ, ცირა, ლავროსი კალანდაძეები იუწყებიან
**დაფინე გიგოს ასულ კალანდაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხიდისთავში.

მეუღლე ნადეჟდა, შვილები ნანა, შოთა, რძალი თინათინ შვილებით, სიძე ალეკო შენგელია იუწყებიან
**გრიგოლ თედორეს-ძე ბარკალაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII, 8 ს. გამოსვენება 26-XII, 4 ს. ლიბკნეხტის ქ. № 3.

ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება მასწავლებლის
**ფაცია მიხეილის ასულ კალანდაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 24-XII, 4 ს. ბათუმის II შესახვ. № 5.

მეუღლე ივანე გოგიტიძე ნათესავებით იუწყება ექიმ
**ეკატერინე ივანეს ასულ გოგიტიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII, 8 ს. გამოსვენება 26-XII, 4 ს. ყაზბეგის ქ. № 9.

მეუღლე ნინო, შვილები ელიკო, თამარ, ვასო, სიძეები შ. ყუფარაძე, კ. თედორაძე; გულიკო, ჯუანშერ, ნანა, მარინე, ლია, ზ. შანშიაშვილი ოჯახით იუწყებიან
**ივანე ვასილის-ძე ელაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-XII, 8 ს. გამოსვენება 26-XII, 4 ს. საბჭოს ქ. № 69.



რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-68-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უჲ 05310 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2